



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080193976327619

№ 2091

01 / მაისი / 2019 წ.

**შპს „ენკის“ გაფრთხილების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია;

**ტენდერის ნომერი:** SPA180001679;

**შესყიდვის ობიექტი:** 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

**მიმწოდებელი:** შპს „ენკი“ (ს/ნ: 419989132);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 1 თებერვალს წარმოდგენილ იქნა ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1 თებერვლის № 01/236 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 1204), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ენკის“ (ს/ნ: 419989132) მიერ SPA180001679 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 17 აპრილის № ტ-29(01679) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „ენკის“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [gelamj@gmail.com](mailto:gelamj@gmail.com) მეშვეობით, 2019 წლის 13 თებერვლის № 627 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. შპს „ენკიმ“ 2019 წლის 22 თებერვალს წარმოადგინა 2019 წლის 21 თებერვლის განმარტება (რეგისტრაციის № 1995) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და, შესაბამისად, მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობის დასადგენად, „შპს „ენკის“ შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 1 აპრილის № 1733 განკარგულებით, ერთი თვით გაგრძელდა ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1 თებერვლის № 01/236 წერილობითი შეტყობინების (რეგისტრაციის № 1204) საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

1.5. ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 11 აპრილს წარმოადგინა 2019 წლის 10 აპრილის № 01/782 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 3969) მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. გარდა ამისა, ხელშეკრულების შეწყვეტის ეტაპზე სამუშაოები არ იყო დასრულებული და არც სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის შესაბამისად, ის საამქრო, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შეამოწმა, არ ფუნქციონირებდა 2015 წლიდან 2018 წლამდე, რის შესაბამისადაც მიმწოდებლის მიერ დასახელებული აღნიშნული ფაქტი ვერ იქნებოდა სამუშაოების შესრულების შემაფერხებელი გარემოება.

2.3. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაცია განმარტავს, რომ მისთვის მიმწოდებელს დაუყოვნებლივ არ უცნობებია შესაძლო ფორსმაჟორული გარემოების თუ ავანსის უკმარისობის შესახებ. რაც შეეხება მიმწოდებლის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მშენებარე ობიექტში საარჩევნო უბნის განთავსებამ გამოიწვია ფორსმაჟორული მდგომარეობა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განმარტა, რომ იგი არ იყო განთავსებული შენობის იმ ნაწილში, სადაც მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. შემსყიდველმა ორგანიზაციამ ასევე განმარტა, რომ აღნიშნული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაუყოვნებლივ უნდა მიემართა მისთვის, რაც არ განხორციელებულა. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტშიც კი (2019 წლის 25 იანვრის მდგომარეობით), სამუშაოები დიდი ხნის განმავლობაში იყო შეჩერებული და საგრძნობლად ჩამორჩებოდა გეგმა-გრაფიკს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ გააგრძელა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა.

### **3. მიმწოდებლის პოზიცია**

3.1. მიმწოდებლის წერილობითი განმარტების შესაბამისად, არსებობდა ფორსმაჟორული და სამუშაოების შესრულების სხვა შემაფერხებელი გარემოებები. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შეამოწმა ხის მასალის მწარმოებელი საამქროები, რამაც გამოიწვია პროდუქტის დეფიციტი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეუძლებელი გახდა ხის მასალის შეძენა.

3.2. მიმწოდებელი ასევე განმარტავს, რომ აღნიშნულის გარდა, 2018 წლის საპრემიენტო არჩევნების დროს მშენებარე ობიექტში განთავსდა საარჩევნო უბანი და გაიმართა არჩევნების ორი ტური, რის გამოც მიმწოდებელს მოუწია სამუშაოების შეჩერება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხოლო არჩევნების მოსამზადებელი პერიოდი დაიწყო მის ჩატარებამდე ორი თვით ადრე. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, მიმწოდებელმა არაერთხელ მიმართა შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების შესრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით, თუმცა ამაოდ.

3.3. ამასთან, მიმწოდებელი განმარტავს, რომ მას შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწილი, რაც ასევე აფერხებდა ვალდებულებების დროულად შესრულებას და საბოლოოდ გამოიწვია სამუშაოს შეჩერება. ამასთან, ავანსად გაცემული თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი ოპერატიულად მუშაობისათვის, რამდენადაც აღნიშნულს ასევე დაემატა ლარის კურსის ცვლილებაც. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, იგი ჯეროვნად შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

3.4. მიმწოდებელი ასევე განმარტავს, რომ მას სასამართლოში აქვს გასაჩივრებული შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით და მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება.

### **4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2018 წლის 8 თებერვალს ნალენჯიხის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა SPA180001679 ელექტრონული ტენდერი საბავშვო ბაღების მშენებლობის (CPV45214100) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 28 მარტის № 5(01679) სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ენკი“ (ს/ნ: 419989132), ხოლო 2018 წლის 5 აპრილის № 6(01679) სხდომის ოქმით, იგი მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 17 აპრილს მხარეთა შორის გაფორმდა № ტ-29(01679) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულების სამუშაო 2018 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 544 741 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 9 იანვარი.

4.4. მიმწოდებელმა 2018 წლის 23 ოქტომბრის № 1/10 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შეამოწმა ხის მასალის მწარმოებელი საამქროები, რამაც გამოიწვია პროდუქტის დეფიციტი და შეუძლებელი გახდა ხის მასალის შეძენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვა ხელშეკრულების შესრულების ვადის გაგრძელება.

4.5. მიმწოდებელმა 2018 წლის 12 ნოემბრის № 1/12 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ საპრეზიდენტო დროს მშენებარე ობიექტზე საარჩევნო უბნის განთავსებამ გამოიწვია სამუშაოების დროებით შეჩერება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვა ხელშეკრულების შესრულების ვადის გაგრძელება.

4.6. მიმწოდებელმა 2018 წლის 31 დეკემბრის № 31-1 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, სამუშაოების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების შესახებ და მოსთხოვა სამუშაოების შესრულების ვადის 2019 წლის 30 აპრილამდე გაზრდა.

4.7. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2019 წლის 3 იანვრის № 03/2 წერილით მიმწოდებელს აცნობა, რომ ვალდებულებები შესრულდა არაჯეროვნად. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა, რომ თუკი პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებდა ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს ხელშეკრულება შეწყდებოდა.

4.8. მიმწოდებელმა 2019 წლის 9 იანვრის № 9/01-02-19 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სამუშაოების გარკვეული ნაწილის ღირებულების აუნაზღაურებლობის გამო, კომპანიაში დასაქმებული პირები ვერ იღებდნენ ხელფასს, რაც იწვევდა მათ პროტესტს. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვა სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა 2019 წლის 30 აპრილამდე.

4.9. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 25 იანვრის ინსპექტირების ჯგუფის № 16/1 აქტის თანახმად, 2019 წლის 25 იანვრის მდგომარეობით, მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, სამუშაოები არ მიმდინარეობდა და შესრულებული იყო არასრულად. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე მიმწოდებელს უარი ეთქვა არასაკმარისი მოტივაციის გამო.

4.10. ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 29 იანვრის № 2-1/44 ბრძანებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.11. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 10 აპრილის № 01/782 წერილის შესაბამისად, ის საამქრო, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შეამოწმა, არ ფუნქციონირებდა 2015 წლიდან 2018 წლამდე, რის შესაბამისადაც დასახელებული ფაქტი ვერ იქნებოდა სამუშაოების შესრულების შემაფერხებელი გარემოება. ამასთან, მიმწოდებელს დაუყოვნებლივ არ უცნობებია შემსყიდველი ორგანიზაციისთვის შესაძლო ფორსმაჟორული გარემოებისა თუ ავანსის არასაკმარისობის შესახებ. ამავე წერილის შესაბამისად, საარჩევნო უბანი არ იყო განთავსებული შენობის იმ ნაწილში, სადაც მიმდინარეობდა სამუშაოები და არც აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესახებ მიუმართავს მისთვის მიმწოდებელს დაუყოვნებლივ. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტის ეტაპზე კი (2019 წლის 25 იანვრის მდგომარეობით), სამუშაოები დიდი ხნის განმავლობაში იყო შეჩერებული და საგრძნობლად ჩამორჩებოდა გეგმა-გრაფიკს.

4.12. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 312 731,43 ლარის ღირებულების სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 58%-ს შეადგენს.

## სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ენკის“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს

პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაში დასახელებულ შესაძლო ფორსმაჟორულ გარემოებებზე. სააგენტო განმარტავს, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ხის მასალის მწარმოებელი საამქროს შემოწმება ვერ ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ სამუშაოების არასრულად შესრულების გამამართლებელ გარემოებად, რამდენადაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის შესაბამისად, ის საამქრო, რომელიც შეამოწმა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა არ ფუნქციონირებდა 2015 წლიდან 2018 წლამდე, რის გამოც დასახელებული ფაქტი ვერ იქნებოდა სამუშაოების შესრულების შემაფერხებელი გარემოება. გარდა ამისა, აღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაუყონებლივ უნდა მიემართა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, რაც არ განხორციელებულა. ამასთან, სააგენტო განმარტავს, რომ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მასალის დეფიციტის შემთხვევაში, მიმწოდებელს უნდა ეზრუნა მისი ალტერნატიული გზით შექცნაზე.

7.4. ამასთან, სააგენტო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მშენებარე ობიექტში საარჩევნო უბნის განთავსებამ გამოიწვია ფორსმაჟორული მდგომარეობა, რამდენადაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის შესაბამისად, საარჩევნო უბანი არ იყო განთავსებული ობიექტის იმ ნაწილში, სადაც მიმწოდებელი ანარმობდა სამუშაოებს, ხოლო ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაშიც კი, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმწოდებელს შემსყიდველ ორგანიზაციისთვის ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდებინა, რაც არ განხორციელებულა.

7.5. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ავანსად გაცემული თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი ოპერატიულად მუშაობისათვის, რასაც დაემატა ლარის კურსის ცვლილებაც. აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ მიმწოდებელმა ავანსთან დაკავშირებით შემსყიდველ ორგანიზაციას ინფორმაცია მიაწოდა მაშინ, როდესაც სამუშაოების შესრულების ვადა უკვე ამოწურული იყო (2019 წლის 9 იანვარს), ხოლო ლარის კურსის ცვლილება წარმოადგენს მიმწოდებლის კომერციულ რისკს.

7.6. გარდა ამისა, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის მითითებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მას არ აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწილი, რაც აფერხებდა ვალდებულებების დროულად შესრულებას და საბოლოოდ გამოიწვია სამუშაოების შეჩერება. სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომელიც მათი მოლაპარაკებით უნდა გადაწყდეს, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლო წესით.

7.7. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციული წარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის პოზიციაზე და განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოში გაასაჩივრებს მის მიმართ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც წარმოიშვა ამ წესის მე-3 მუხლში მითითებული გარემოებები და სასამართლო, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუზღუდავს სააგენტოს წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებას. მიმწოდებელს არ წარმოუდგენია სასამართლოს განჩინება, რომელიც შეუზღუდავდა სააგენტოს წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებას. ამდენად, სააგენტო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

7.8. გემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.9. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.10. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.


7.11. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ სააგენტო ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულებების მოცულობას (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 58%) და მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ენკის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

### სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ენკის“ (ს/ნ: 419989132) 2019 წლის 2 მაისს მიეცეს გაფრთხილება.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე